

**საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება №212
2011 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ფინანსთა
სამინისტროს აკადემიის შექმნის შესახებ (19.04.2011 N 215)**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საფინანსო აკადემიის ბაზაზე შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდეგში – აკადემია). (19.04.2011 N 215)

2. აკადემიის სახელმწიფო კონტროლი განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საფინანსო აკადემიის უფლებები და მის მიერ ნაკისრი მოვალეობები განახორციელოს აკადემიამ.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) ამ ბრძანებულების პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

ბ) აკადემიის დებულების დამტკიცება;

გ) აკადემიის ხელმძღვანელის დანიშვნა.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო აკადემიის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 25 იანვრის №41 ბრძანებულება.

6. ეს ბრძანებულება, გარდა მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს 2011 წლის 27 აპრილიდან. (20.04.2011 N 217)

7. ამ ბრძანებულების მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ სააკაშვილი